



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

როგორ ახორციელებს თურქეთი თავის ახალ გეოსტრატეგიას:
მონახაზი

დავით ბატაშვილი

85

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

დავით გატაშვილი

**როგორ ახორციელებს თურქეთი თავის ახალ გეოსტრატეგიას:
მონახაზი**

85

2017



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2017 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-27-172-4

თურქეთის მარცხმა პირველ მსოფლიო ომში დაასრულა საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული მისი, როგორც აქტიური საერთაშორისო მოთამაშის, როლი. შემდგომ ათწლეულებში თურქეთის სტრატეგიის მიზანი მეტწილად იყო საკუთარი უსაფრთხოების დაცვა. 1974 წლის კვიპროსის ომის მსგავსი იზოლირებული ეპიზოდები არ წარმოადგენდა თურქეთის თანმიმდევრულ მცდელობას გავლენა საკუთარ საზღვრებს გარეთ გაეგრცელებინა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ამ მხრივ ცვლილებები დაინიშნა. ამერიკის შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის პაქრობის დასასრულმა გაზარდა თურქეთის სტრატეგიული შესაძლებლობები, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთში. ამასთანავე, საბჭოთა კავშირის და იუგოსლავიის დაშლამ ანკარას საშუალება მისცა კავშირი დაემყარებინა ახლად შექმნილ თუ აღდგენილ სახელმწიფოებთან. თურქეთი ამ შესაძლებლობის გამოსაყენებლად მზად იყო – მას ჰქონდა უფრო მოდერნიზებული სახელმწიფო და უფრო ძლიერი ეკონომიკა, ვიდრე წინა ისტორიულ პერიოდებში. იმ დროისთვის, როცა 2002 წელს სამართლიანობისა და განვითარების პარტია (AKP) ხელისუფლებაში მოვიდა, თურქეთის ახლებური საგარეო პოლიტიკა უკვე წარმოადგენდა ექსპერტების აქტიური განსჯის საგანს.¹

AKP-ის მმართველობის დროს თურქეთის საგარეო სტრატეგია უფრო მიზანმიმართული გახდა. მის კონცეპტუალურ ფორმულირებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის აჰმეთ დავუთოლლუს, რომელიც იყო პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის მთავარი მრჩეველი 2003-2009 წლებში, ხოლო შემდეგ – საგარეო საქმეთა მინისტრი (2009-2014) და პრემიერ-მინისტრი (2014-2016).

დავუთოლლუ იშვიათი მაგალითია აკადემიური სტრატეგიული მოაზროვნისა, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა საკუთარი იდეების განხორციელება სახელმწიფო პოლიტიკაში ეცადა. თავის ცნობილ წიგნში „სტრატეგიული სიღრმე: თურქეთის საერთაშორისო პოზიცია“ (2001) დავუთოლლუ ამტკიცებს, რომ თურქეთი უნდა გახდეს გეოპოლიტიკური ცენტრი, როგორც წარსულში იყო, და გაავრცელოს საკუთარი გავლენა მის გარშემო არსებულ რეგიონებში, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთში, ბალკანეთსა და კავკასიაში და ზოგადად ისლამურ სამყაროში. AKP-ის მთავრობის პირობებში თურქეთი სწორედ ამის მიღწევას ცდილობს.

თურქეთის ახალი გეოსტრატეგიული კონცეფცია მისი ლიდერების რიტორიკაშიც აისახა. 2013 წელს დავუთოლლუმ თქვა,

რომ თურქეთი „ისევ დააკავშირებს სარაევოს დამასკოსთან, ბენ-ლაზის ერზურუმთან და ბათუმთან“. მან დაამატა, რომ „შეიძლება ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩანდნენ, მაგრამ 110 წლის წინ იემენი და სკოპიე ერთი ქვეყნის ნაწილები იყვნენ ისევე, როგორც ერზურუმი და ბენლაზი“.² 2014 წლის მარტში ერდოღანმა ადგილობრივი არჩევნების შემდეგ გამოსვლისას მადლობა გადაუხადა მხარდამჭერებს არა მხოლოდ თურქეთში, არამედ ასევე ეგვიპტესა და პალესტინაში, აგრეთვე „ძმებს ბალკანეთში, ბოსნიაში, მაკედონიაში, კოსოვოში...“³ 2014 წლის 10 აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ წარმოთქმულ სიტყვაში ერდოღანმა თქვა: „დღეს გაიმარჯვა არა მხოლოდ თურქეთმა, არამედ ასევე ისლამაბადმა, ერბილმა, ბეირუთმა, სარაევომ, სკოპიემ, ჰამამ, ჰომამა, რამალამ, ღაზამ, იერუსალიმმა“.⁴

თურქეთის გეოსტრატეგიული ხედვა და ამბიციები არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური რიტორიკით. ეს ხედვა და ამბიციები პრაქტიკული საგარეო პოლიტიკის სახითაც ხორციელდება, რისი კონკრეტულ მაგალითებსაც ქვემოთ განვიხილავთ. ეს მოიცავს მრავალ მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია დიდი რესურსების ხარჯვასთან და, ზოგ შემთხვევაში, სერიოზულ რისკებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის მაისში დავუთოლლუს ნასვლამ პრემიერ-მინისტრის პოსტიდან და, სავარაუდოდ, აქტიური პოლიტიკიდანაც არ იქონია რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა თურქულ საგარეო სტრატეგიაზე. კურსი დასახულია, ყოველ შემთხვევაში, AKP-ის ხელისუფლებისთვის და მისი ძირითადი არსი ალარაა დამოკიდებული კონკრეტულ ინდივიდებზე.

სირიული მორევი

თურქეთის ახალი გეოსტრატეგიის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სირია. იმის მიუხედავად, თუ რამდენად წარმატებულია ამ ქვეყანაში თურქული პოლიტიკა, ფაქტია, რომ საკუთარი საზღვრების გარეთ თანამედროვე თურქეთი სწორედ სირიაში მოქმედებს ყველაზე აქტიურად.

2011 წლამდე თურქეთის პოლიტიკა ლევანტის* რეგიონში ხორციელდებოდა შედარებით რბილი მეთოდებით. ამ პოლიტიკის

* ლევანტის რეგიონში იგულისხმება თანამედროვე სირიის, ლიბანის, ისრაელის, იორდანისა და პალესტინის ტერიტორია.

მნიშვნელოვანი მაგალითი იყო ანკარის მიერ სირიასთან, ლიბანთან და იორდანიასთან 2010 წელს გაფორმებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის და მგზავრობის ზონის შექმნის შესახებ.⁵ იმ დროს თურქეთი, სხვა მეზობელი ქვეყნების გარდა, ასადის ხელისუფლებასთანაც ავითარებდა ურთიერთობებს.

მას შემდეგ, რაც 2011 წელს სირიაში აჯანყება დაიწყო, თურქეთმა რადიკალურად შეცვალა თავისი მიდგომა. მან სირიაში თავისი მიზნების მისაღწევად ხისტი ძალის მეთოდების გამოყენება დაიწყო, კერძოდ, რეჟიმის წინააღმდეგ მეზობელი მეამბოხეების მხარდასაჭერად პოლიტიკური და სადაზვერვო ძალისხმევას მიმართა.

ასადის რეჟიმი, რომელიც წარმოადგენს შიიზმის „მონათესავე“ ალავიტების რელიგიურ ჯგუფს, იყო (და კვლავაც არის) ირანის მოკავშირე. სავარაუდოდ, სირიასთან თურქეთის ვერავითარი დიპლომატიური, ეკონომიკური და რბილი ძალის კავშირები ამ რეალობას ვერ შეეცვლიდნენ. მაგრამ თუკი სირიაში ძალაუფლება გადავიდოდა სუნიტების ხელში, რომლებიც ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ და მეტწილად ასადის წინააღმდეგ არიან, ვითარება ძირფესვიანად შეიცვლებოდა. ასეთ შემთხვევაში სირიაში თურქეთის ძლიერი და გრძელვადიანი გავლენის დამყარება რეალისტური გახდებოდა.

შესაბამისად, ანკარამ ფსონი იმაზე დადო, რომ ასადის რეჟიმი ვერ გაუძლებდა სირიელთა უმრავლესობის წინააღმდეგობას და დაეცემოდა. თურქეთი მთლიანად დადგა მეამბოხეთა მხარეს, რითაც გამორიცხა მომავალში ასადის რეჟიმის პარტნიორობის ყოველგვარი შესაძლებლობა. თუმცა ირანის და რუსეთის მიერ ასადის მხარდაჭერამ და მეამბოხეთა გახლეჩვამ, დამასკოს რეჟიმს გადარჩენის შესაძლებლობა მისცა. უფრო მეტიც, სირიის სახელმწიფოს მოშლასთან ერთად თურქეთი ორი ახალი პრობლემის წინაშე დადგა. ერთი იყო ქურთების მიერ ტერიტორიის მოპოვება სირიის ჩრდილოეთში და ჩრდილო-აღმოსავლეთში, მეორე – თურქეთის საზღვართან დაეშის (ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“) ჩამოყალიბება.

მას შემდეგ, რაც ქურთების მიერ დაეშის დამარცხებამ თურქეთის საზღვარზე ფაქტობრივად დამოუკიდებელი სირიული ქურთისტანის ჩამოყალიბების პერსპექტივა გააჩინა, ანკარამ გადანყვიტა სირიაში პოლიტიკური და სადაზვერვო ღონისძიებებიდან უფრო ხისტ მოქმედებებზე გადასულიყო. 2016 წლის აგვისტოში

თურქეთმა დაიწყო სამხედრო ოპერაცია ჩრდილოეთ სირიაში. ქვეითი ძალის უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ თურქეთის მხარდაჭერის მქონე სირიელი მეამბოხეები, თუმცა სპეცდანიშნულების, სატანკო, საარტილერიო და საჰაერო ძალები ეკუთვნოდა თურქეთის ჯარს.

თურქეთმა მიაღწია ამ სამხედრო ოპერაციის უშუალო მიზანს – არ დაუშვა სირიელი ქურთების დასავლური ანკლავის შეერთება ქურთულ კონტროლს დაქვემდებარებულ ძირითად ტერიტორიასთან; ასევე – ამ ოპერაციის შედეგად ჩრდილოეთ სირიაში შეიქმნა და არსებობს თურქული კონტროლის ზონა.

მიუხედავად ყველაფრისა, თურქეთის მდგომარეობა სირიაში საკმაოდ რთულია. სირიელი ქურთები ამ დროისთვის აკონტროლებენ სირიის მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო მათი მთავარი პოლიტიკური ძალა – დემოკრატიული კავშირის პარტია (PYD) – დაახლოებულია ქურთისტანის მუშათა პარტიის (PKK) მეამბოხებთან, რომლებიც თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ პარტიზანულ ომს აწარმოებენ. ამ ვითარების შეცვლის ერთადერთი პრაქტიკული შესაძლებლობა ანკარისთვის არის პირდაპირი სამხედრო შეტევა სირიელ ქურთებზე. 2017 წლის მაისის მდგომარეობით ასეთი ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ მისცემენ ამერიკელები, რომლებიც ქურთებთან ერთად დაემის სანინააღმდეგო ოპერაციას აწარმოებენ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აშშ აღარ დაუჭერს მხარს სირიელ ქურთებს, თურქეთისთვის რთული და სისხლიანი იქნება მათ წინააღმდეგ მასშტაბური სამხედრო მოქმედებების წარმოება.

ამასთანავე, ასადის რეჟიმი კვლავაც ანკარის მტერია, ხოლო სირიელი მეამბოხეები 2017 წლის მაისისთვის უმძიმეს მდგომარეობაში არიან. ჩრდილოეთ სირიაში თურქული კონტროლის ზონის საზღვარზე თურქეთის მიერ მხარდაჭერილი მეამბოხეები რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ასადის ძალების პირისპირ დგანან. გაურკვეველია როგორ განვითარდება ეს ვითარება მომავალში.

ამ ეტაპზე ვერ გაამართლა თურქეთის ჩართვამ სირიის მოვლენებში. ნაცვლად სუნიტური მთავრობისა, რომელიც ანკარას სირიაში გავლენის გაზრდის შესაძლებლობას მისცემდა, თურქეთს სამხრეთ საზღვარზე ურთულესი პრობლემა აქვს, რომლის გადაჭრის გზებიც ჯერჯერობით ბუნდოვანია.

ამავე დროს, თურქეთმა სირიაში აჩვენა, რომ თუკი აუცილებლად ან მომგებიანად მიიჩნევს, მზად არის განახორციელოს თამამი სამხედრო და სადაზვერვო მოქმედებები საკუთარი საზღვრების გარეთ.

ერაყი: ქურთული პარტნიორი და მოსულის საკითხი

იმის გამო, რომ ერაყის მოსახლეობის უმეტესობას შიიტები შეადგენენ, მოცემულ პერიოდში ამ ქვეყანას უფრო ახლო ურთიერთობა ექნება ირანთან, ვიდრე თურქეთთან. ეს ეხება ბალდადის მთავრობას და შიიტებით დასახლებულ რეგიონებს ქვეყნის სამხრეთსა და ცენტრში, ხოლო ჩრდილოეთში, მის სხვადასხვა ნაწილში, უმრავლესობას შეადგენენ არაბი სუნიტები და ქურთები და სწორედ იქ ცდილობს თურქეთი გავლენის მოპოვებას.

ერაყის ქურთისტანი დღეს ფაქტობრივად არის დამოუკიდებელი წარმონაქმნი, რომელსაც ბალდადთან მხოლოდ ნომინალური კონფედერაციული ურთიერთობა აკავშირებს. ის ასევე არის ანკარის ახლო პარტნიორი. თურქეთსა და ერაყის ქურთისტანს შორის ურთიერთობა დაიწყო 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის შემდგომ წლებში, როდესაც თურქეთი ჩაერია ამ ქურთულ რეგიონში მიმდინარე სამოქალაქო ომში ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის (KDP) მხარეს. დღეს რეგიონს სწორედ ეს პარტია მართავს. თურქეთი ასევე ატარებდა სამხედრო ოპერაციებს PKK-ის ქურთი მემბოხეების წინააღმდეგ, რომლებიც თურქეთიდან ერაყში გადადიოდნენ. KDP-სთან ანკარის თანამშრომლობის შედეგად, 1990-იან წლებში ერაყის ქურთისტანში მუდმივი თურქული სამხედრო ბაზები შეიქმნა.⁶

ანკარას და ერაყელი ქურთების ხელმძღვანელობას პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა აკავშირებს. მისი ერთ-ერთი ნაწილია ნავთობის ექსპორტი ერაყის ქურთისტანიდან თურქეთის ტერიტორიის გავლით, ბალდადის მთავრობის მკაფიოდ გამოხატული ნების წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც 2014 წელს დაეშვა დაიპყრო ჩრდილოეთ ერაყის სუნიტებით დასახლებული ნაწილი, მათ შორის, ამ რეგიონის მთავარი ქალაქი მოსული, ცხადი გახდა, რომ ადრე თუ გვიან მოხდებოდა ამ ტერიტორიის ჯიჰადისტებისგან განთავისუფლება. თურქეთმა გადაწყვიტა, რომ ამ პროცესში ჩართული უნდა ყოფილიყო, რათა მოსულის რეგიონის დაემისგან განთავისუფლების შემდეგ იქ გავლენა მოეპოვებინა.

თურქმა სამხედროებმა დააფუძნეს ბაზა ბაშიქაში – დაახლოებით 15 კილომეტრში მოსულის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც წვრთნიდნენ ერაყელ ქურთ მებრძოლებს და ადგილობრივი სუნიტი არაბების შეიარაღებულ ჯგუფებს.⁷ თურქები მათ ასევე მხარს უჭერდნენ დაემის წინააღმდეგ ბრძოლაში.⁸

ერაყის ცენტრალური მთავრობის მიერ გამოთქმულმა პროტესტმა ქვეყნის ტერიტორიაზე თურქული ჯარის ყოფნის წინააღმდეგ შედეგი არ გამოიღო,⁹ მიუხედავად ბაღდადის განცხადებებისა, რომ თურქი ჯარისკაცების ერაყში ყოფნამ შეიძლება „რეგიონული ომი“ გამოიწვიოს.¹⁰

თურქი ჯარისკაცების ერაყიდან გაყვანასთან დაკავშირებით ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ჰაიდერ ალ-აბადის მოთხოვნებზე თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის პასუხი იყო: „შენ არ ხარ ჩემს დონეზე, შენ არ ხარ ჩემი თანასწორი, შენ არ გაქვს იგივე ხარისხი, რაც მე.“ მან ასევე თქვა, რომ ანკარა არ ანიჭებს არავითარ მნიშვნელობას „წივილ-კვილს ერაყში“. ამის გარდა, ერდოღანმა განაცხადა, რომ მოსულის დაემისგან განთავისუფლების შემდეგ „მანდ უნდა იყვნენ მხოლოდ სუნიტი არაბები, თურქმენები და ქურთები“.¹¹ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა განაცხადა, რომ თურქეთი „მაგიდასთან იქნებოდა“ მოსულის დაემისგან განთავისუფლების ოპერაციაში და ამის იგნორირების მცდელობა „დიდი შეცდომა“ იქნებოდა.¹²

საბოლოო ჯამში, 2016 წლის შემოდგომაზე დაწყებულ მოსულის განთავისუფლების ოპერაციაში ძირითადი როლი ბაღდადის მთავრობის ძალებს აქვთ. 2017 წლის მაისის მდგომარეობით გაურკვეველია, რამდენად მოახერხებს თურქეთი გავლენის მოპოვებას მოსულის რეგიონში დაემის საბოლოო მარცხის შემდეგ. თუმცა, იმის მიუხედავად, როგორ გადანყდება მოსულის საკითხი, ამ რეგიონში თურქეთის აქტიურობა ცხადად აჩვენებს, რომ მისი თამამი ქმედებები სირიაში მხოლოდ იზოლირებული შემთხვევა არ არის.

ლევანტის სამხრეთი

ლევანტის სამხრეთ ნაწილში ანკარის პოლიტიკა უფრო რბილია, ვიდრე სირიასა და ერაყში.

ამ რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორი, რომელიც ანკარის მხარდაჭერით სარგებლობს, არის ჰამასი. ეს ორგანიზაცია, რომელიც ამჟამად ღაზის სექტორს აკონტროლებს, დაკავშირებულია „მუსლიმთა საძმოს“ საერთაშორისო ქსელთან. თავად „საძმო“ წარმოადგენს ერთი იდეოლოგიური მიმართულების მქონე და მრავალ სუნიტურ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ორგანიზაციების კრებულს. თურქეთის მმართველი პარტია AKP „მუსლიმთა საძმოსთან“ არის დაახლოებული.

სირიის ომამდე ჰამასის მთავარი პარტნიორი იყო ირანი, რასაც განაპირობებდა ისრაელის სახით საერთო მტრის ყოლა. თუმცა, სირიის ომში ძლიერია რელიგიური დაპირისპირების ელემენტი. ჰამასი არის სუნიტური ორგანიზაცია და მისი მხარდამჭერებიც სუნიტები არიან, ხოლო ირანი არის შიიტური სახელმწიფო, რომელიც სირიაში სუნიტ მეამბოხეებს ებრძვის. ამან ჰამასისთვის გაართულა ირანთან მოკავშირეობა.

ამ ვითარებამ თურქეთს ლაზაში გავლენის გაზრდის შესაძლებლობა შეუქმნა. თურქეთმა „მისცა თავშესაფარი ჰამასის წევრებს, რომლებმაც მიიღეს ამ ქვეყანაში შეხვედრების გამართვის საშუალება და ასევე პირდაპირი კავშირი თურქეთის მთავრობასთან.“¹³

ამ პოლიტიკური კონტაქტების გარდა, თურქეთი ლაზის სექტორში ავითარებს ეკონომიკურ კავშირებს და ზრდის ჰუმანიტარულ დახმარებას. როგორც ჩანს, ანკარამ გამოიყენა ისრაელთან ბოლო დროს გაუმჯობესებული ურთიერთობები ამ მხრივ შეღავათიანი უფლებების მოსაპოვებლად. 2015 წლის 26 დეკემბერს თურქეთის საბაჟოსა და ვაჭრობის მინისტრმა ბულენტ ტუფენკჩიმ განაცხადა, რომ „ისრაელთან მოლაპარაკების შედეგად თურქული საქონელი ლაზის სექტორში დაბრკოლების გარეშე შევა“ და რომ „მთელი ჰუმანიტარული დახმარება ლაზის სექტორში შევა თურქული ორგანიზაციების მეშვეობით მანამდე, ვიდრე ლაზის ბლოკადა მოიხსნება.“¹⁴

ლაზის გარდა, თურქეთისთვის ინტერესს დანარჩენი პალესტინაც წარმოადგენს. მას აქვს „თურქული არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი და მზარდი ინვესტიციები დასავლეთ სანაპიროზე“,¹⁵ მათ შორის, ისეთი პროექტები, როგორც ჯენინის ინდუსტრიული ზონაა, რომელმაც, არსებული მონაცემების მიხედვით,¹⁵ ათასი ადამიანი დაასაქმა.¹⁶ თურქეთი იჩენს განსაკუთრებულ ინტერესს იერუსალიმის მიმართ. ამ ქალაქის პალესტინურ ნაწილში ის იორდანის გავლენას უპირისპირდება.¹⁷

ლიბანში თურქეთის გავლენა შეზღუდულია, თუმცა მან „მოიპოვა გარკვეული კულტურული გავლენა ლიბანელ სუნიტებში და თურქმენებში სხვადასხვა სოციალური, კულტურული და ეკონომიკური დახმარების მეშვეობით.“¹⁸

სირიისა და ერაყისგან განსხვავებით, ლაზაში, დასავლეთ სანაპიროზე და ლიბანში შეზღუდულია თურქეთის როგორც სტრატეგიული ინტერესები, ისე პრაქტიკული შესაძლებლობები. შესაბამისად, იქ ანკარა ხისტ ძალას არ იყენებს. ამ ეტაპზე მაინც

ლევანტის სამხრეთში თურქული გეოსტრატეგიის ძირითადი ინსტრუმენტებია ინვესტიციები და რბილი ძალა.

ამავე დროს, დღეისთვის თურქეთმა უკვე ჩაანაცვლა ეგვიპტე, როგორც მთავარი უცხოური სუნიტური ძალა ლაზის სექტორში. ის ასევე დასავლეთ სანაპიროზე ზრდის თავის გავლენას იორდანის ხარჯზე.

ჩრდილოეთ აფრიკა და „მუსლიმთა საძმო“

AKP-ის ხელისუფლების კავშირმა „მუსლიმთა საძმოსთან“ ძალიან დიდი გავლენა იქონია თურქეთის პოლიტიკაზე ჩრდილოეთ აფრიკაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია ეგვიპტე.

როდესაც 2011 წელს ეგვიპტეში მომხდარი რევოლუციის შემდეგ ეგვიპტური „მუსლიმთა საძმო“ ხელისუფლებაში მოვიდა, თურქეთის სტრატეგიული პერსპექტივები ძალიან კარგად გამოიყურებოდა. „საძმოს“ წარმომადგენელი პრეზიდენტის მოჰამედ მორსის მთავრობა თურქეთთან დაახლოებული იყო. ამის შედეგად, თურქეთის გეოპოლიტიკურ ბანაკში აღმოჩნდა ახლო აღმოსავლეთში ყველაზე დიდი მოსახლეობის, ერთ-ერთი უძლიერესი ჯარისა და მნიშვნელოვანი საგარეო გავლენის მქონე ქვეყანა. მორსის მმართველობის დროს თურქეთის მიერ ეგვიპტის მხარდაჭერის ერთ-ერთი ნაწილი იყო ერთი მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტი.¹⁹

ეს ვითარება დიდხანს ვერ გაგრძელდა. მას შემდეგ, რაც მორსის ხისტად კონსერვატიულ შიდა პოლიტიკას მოსახლეობის უზარმაზარი საპროტესტო აქციები დაუპირისპირდა, ეგვიპტის სამხედრო ელიტამ 2013 წლის 3 ივლისს იგი ხელისუფლებას ჩამოაშორა. საუდის არაბეთმა, რომელიც უპირისპირდება რეგიონში „მუსლიმთა საძმოს“ გავლენას, მაშინვე მხარი დაუჭირა ახალ მმართველ რეჟიმს გენერალ აბდელ ფატაჰ ელ-სისის ხელმძღვანელობით.

თურქეთის რეაქცია ეგვიპტეში მომხდარ გადატრიალებაზე ძალიან მძაფრი იყო, მან ელ-სისის ხელისუფლება არალეგიტიმურად გამოაცხადა. ეგვიპტის მთავრობა, თავის მხრივ, აკრიტიკებდა თურქეთს „მუსლიმთა საძმოს“ მხარდაჭერისთვის. ამ დაპირისპირების შედეგად ეგვიპტემ 2013 წლის ნოემბერში ქვეყნიდან გააძევა თურქეთის ელჩი და თავადაც გამოიწვია თავისი ელჩი ანკარიდან.²⁰ მას შემდეგ თურქულ-ეგვიპტური ურთიერთობები დაპირისპირების რეჟიმში რჩება. ორ მხარეს შორის დაძაბულობას დამატე-

ბით ამძაფრებს ეგვიპტის უარყოფითი დამოკიდებულება ლაზაში თურქული გავლენის ზრდის მიმართ.²¹

ლიბიაში თურქეთი ასევე უჭერს მხარს „მუსლიმთა საძმოს“ საერთაშორისო ქსელთან აფილირებულ პოლიტიკურ ძალებს, როგორცაა სამართლიანობის და აღმშენებლობის პარტია (JCP).²²

კადაფის რეჟიმის დაცემის შემდეგ, ლიბიაში მიმდინარე შიდა სამხედრო კონფლიქტის ფონზე, ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე სახელმწიფო ორ ბანაკში გადანაწილდა და ლიბიაში გავლენისთვის ერთმანეთთან არაპირდაპირი ბრძოლა გააჩაღა. ერთი მხრიდან თურქეთმა და კატარმა მხარი დაუჭირეს „საძმოსთან“ აფილირებულ ძალებს, რომლებიც ძირითადად ლიბიის დასავლეთში არიან დაბანაკებული. მათთან დაპირისპირებულ და მეტწილად ქვეყნის აღმოსავლეთში დამკვიდრებულ მხარეს მხარდაჭერა ეგვიპტემ, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და საუდის არაბეთმა აღმოუჩინეს.

ამჟამად ლიბიაში კვლავაც გრძელდება ქაოსური სამხედრო კონფლიქტი. გაურკვეველია, როდის შეძლებს ეს ქვეყანა გაერთიანებას, როდის ეყოლება ქმედითი მთავრობა და როგორი იქნება იმ დროისთვის ლიბიაში შიდა პოლიტიკური ბალანსი.

ანკარას ასევე აქვს კავშირი²³ ტუნისის ალორძინების პარტიასთან, რომელიც წარმოადგენს ამ ქვეყანაში „მუსლიმთა საძმოს“ ადგილობრივ ვარიანტს. თუმცა ეს კავშირი არის თურქული საგარეო პოლიტიკის ბევრად უფრო „რბილი“ ვერსია, ვიდრე მისი ბოლო წლების მიდგომა ეგვიპტეში ან ლიბიაში.

სამხრეთის ზღვებში

მე-16 საუკუნეში ოსმალეთის იმპერიას ჰქონდა ძლიერი პოზიციები ინდოეთის ოკეანეში, სადაც ის პორტუგალიას ეპაექრებოდა. დღევანდელ ხელახლა გაძლიერებულ თურქეთს, როგორც ჩანს, სურს ისევ დამკვიდრდეს ამ ოკეანის მისადგომებთან.

თურქეთის მთავარი სტრატეგიული დასაყრდენი სირიასთან სამხრეთით არის კატარი. ეს მცირე ზომის, მაგრამ მდიდარი და ამბიციური სახელმწიფო თურქეთის მოკავშირეა და ანკარასთან ერთად მოქმედებს როგორც სირიის და ლიბიის ომებში, ისე სხვა გეოპოლიტიკურ საკითხებში. მათი ურთიერთობა განსაკუთრებით განვითარდა „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ და შედეგად მოიტანა 2014 წლის დეკემბერში დადებული ხელშეკრულება, რომლითაც

თურქეთმა კატარში თავისი სამხედროების განლაგების უფლება მიიღო.²⁴

თურქეთის სახმელეთო ჯარის, ფლოტის და სპეცდანიშნულების ძალების წარმომადგენლები კატარში 2015 წლის ოქტომბერში განთავსდნენ. იმავე წლის დეკემბერში თურქეთმა და კატარმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებათა პაკეტს, რომლის ნაწილი იყო შეთანხმება 2 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო შეიარაღების თურქეთიდან კატარში ექსპორტის შესახებ.²⁵ მუდმივი თურქული სამხედრო ბაზა კატარში 2016 წლის აპრილში შეიქმნა. ამ ქვეყანაში თურქეთის ელჩმა აჰმეთ დემიროკმა განაცხადა, რომ ბაზაზე განლაგდებოდა სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სპეცდანიშნულების ძალები.²⁶

2017 წლის მაისის მდგომარეობით, არსებობს კატარის დედაქალაქ დოჰაში ერთობლივი ტაქტიკური შტაბის შექმნის და ბაზაზე 500-600 სამხედრო მოსამსახურის განთავსების გეგმები.²⁷

აშშ-ის, ბრიტანეთის და საფრანგეთის შემდეგ თურქეთი არის მეოთხე ქვეყანა, რომელსაც არა აქვს გასასვლელი სპარსეთის ყურეზე, მაგრამ იქ აქვს სამხედრო ბაზა. მართალია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კატარში განლაგებული თურქი სამხედროები უახლოეს მომავალში აღმოჩნდებიან ჩართული რაიმე სამხედრო მოქმედებაში, ეს სამხედრო პოზიცია სპარსეთის ყურეში და, უფრო ფართო გაგებით, ინდოეთის ოკეანის რეგიონში შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს თურქეთის გრძელვადიანი გეოსტრატეგიული ინტერესებისთვის.

კატარი არ არის ინდოეთის ოკეანის რეგიონის ერთადერთი ქვეყანა, სადაც თურქი სამხედროები განლაგდნენ. 2010 წლიდან თურქეთი სამხედრო დახმარებას უწევს სომალის მთავრობას. 2015 წლის იანვარში ანკარამ და მოგადიშუმ ხელი მოაწერეს სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას, ხოლო ერთი წლის შემდეგ ერთ-ერთმა თურქმა დიპლომატმა ილაპარაკა სომალელი ჯარისკაცების წვრთნის მიზნით მოგადიშუმში თურქული სამხედრო ბაზის შექმნის გეგმებზე.²⁸ 2016 წლის სექტემბრისთვის თურქეთმა დაასრულა ამ ბაზის აღჭურვა და იქ 200 თურქი სამხედროს განთავსება ჰქონდა დაგეგმილი.²⁹

დაბრუნება ბალკანეთში

ბალკანეთი კიდევ ერთი რეგიონია, სადაც ანკარა თავისი გავლენის გაზრდას ცდილობს. ეს ძალისხმევა წარმოადგენს პოლიტიკური კავშირების განვითარების და რბილი ძალის გამოყენების კომბინაციას.

თურქული რბილი ძალის საფუძველია ოსმალეთის იმპერიის ისტორიული მემკვიდრეობა, რომლის მიმართ ბალკანეთის ზოგი ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დადებითადაა განწყობილი. როგორც მკვლევარი ალიდა ვრაჩიჩი აღნიშნავს საერთაშორისო და უსაფრთხოების საქმეთა გერმანული ინსტიტუტისთვის დაწერილ კვლევაში, „თურქეთმა თანმიმდევრულად განახორციელა ძალისხმევა რეგიონში კონკრეტული სტრუქტურების შესაქმნელად. თურქეთის რელიგიური და კულტურული ინსტიტუტების ქსელებს ნოყიერი ნიადაგი დახვდა დასავლეთ ბალკანეთის ბევრ ნაწილში“.³⁰

თურქეთის ძალისხმევა ძირითადად მიმართულია „ბოსნიის და ჰერცეგოვინის, კოსოვოს, ალბანეთის, მაკედონიის მეტწილად მუსლიმურ ნაწილებზე“ და სანჯაკის რეგიონზე³¹ სერბეთის სამხრეთ-დასავლეთში და მონტენეგროს ჩრდილო-აღმოსავლეთში, ასევე თურქულ ეთნიკურ უმცირესობაზე ბულგარეთში. ეს ძალისხმევა ხორციელდება თამამად და ღიად. ის შეიცავს ისეთ ყესტებს, როგორც აჰმეთ დავუთოლლუს 2009 წელს ბოსნიაში ვიზიტისას გაკეთებული განცხადება: „ბალკანეთის ოსმალური საუკუნეები იყო წარმატების ისტორია. ამჟამად ჩვენ ეს ხელახლა უნდა აღმოვაჩინოთ“. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ „თურქეთი დაბრუნდა“.³²

ფაქტები აჩვენებს, რომ ხსენებულ ძალისხმევას ნაწილობრივ მაინც მოაქვს შედეგი. მაგალითისთვის, „2015 წლის ნოემბერში ერდოღანის მხარდამჭერები რეგიონის ნაწილებიდან, სადაც მუსლიმები უმრავლესობას შეადგენენ ქუჩაში გამოვიდნენ სამართლიანობისა და განვითარების პარტიის (AKP) საარჩევნო გამარჯვების აღსანიშნავად. ასეულობით კოსოვოელი სამხრეთულ ქალაქ პრიზრენში, მაკედონიის ალბანელები სკოპიესა და ტეტოვოში და ბოსნიელები სარაევოში მონაწილეობდნენ ამ ზეიმში“, ხოლო „მონტენეგროში ბოსნიელთა პარტიამ, რომელიც მმართველი კოალიციის უმცროსი წევრია, განაცხადა, რომ ეს გამარჯვება თურქეთს საშუალებას მისცემდა უზრუნველყოს ბალკანეთში მშვიდობა და უსაფრთხოება“.³³

ბოსნიაში თურქეთის მმართველ AKP-ს „აქვს კარგი ურთიერთობა ბოსნიის მთავრობაში შემავალ ზოგ პარტიასთან, განსაკუთრებით – დემოკრატიული მოქმედების პარტიასთან“.³⁴ თურქული რბილი ძალა ბოსნიაში ასევე აქტიურად მუშაობს. 2017 წლის იანვარში თურქეთის განათლების მინისტრის მოადგილემ ორჰან ერდემმა განაცხადა, რომ თურქული ენა 80-ზე მეტ ბოსნიურ სკოლაში ისწავლება.³⁵ ამასთან, „თურქული აღდგენითი პროგრამები, საგან-

მანათლებლო პროგრამები და სატელევიზიო სერიალები [ბოსნიაში] ხელს უწყობენ ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრის მიმართ ადამიანთა აზრების პოზიტიურ განვითარებას“. ³⁶ 2011 წელს ბოსნიის მაშინდელმა ლიდერმა ბაქირ იზეთბეგოვიჩმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მომავალში თურქეთი გახდებოდა მიზიდულობის ცენტრი. ³⁷

2013 წლის ოქტომბერში კოსოვოში ვიზიტისას მაშინ ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა განაცხადა: „ჩვენ, ყველანი, ვეკუთვნიტ საერთო ისტორიას, საერთო კულტურას, საერთო ცივილიზაციას; ჩვენ ვართ ძმები ამ სტრუქტურაში. არ დაგავინყდეთ, თურქეთი არის კოსოვო, კოსოვო არის თურქეთი“, რითაც განარისხა სერბი პოლიტიკოსები. ³⁸ თურქეთი არის კოსოვოში ყველაზე დიდი ინვესტორი და სუბსიდირებს „მრავალ პროექტს, მათ შორის რელიგიურ სკოლებს და მეჩეთების რეკონსტრუქციას“. ამავე დროს, ანკარამ „გამოხატა ინტერესი მოიპოვოს კონტროლი კოსოვოში აშშ-ის სამხედრო ბაზაზე, მას შემდეგ, რაც მას აშშ-ის ძალები დატოვებენ“. ³⁹

ანკარა ისევ რბილი ძალის გამოყენებით ცდილობს გავლენა მოახდინოს კოსოვოში ისტორიულ ნარატივებზე. კოსოვოს განათლების მინისტრმა რამე ბუჯამ თქვა, რომ „თურქეთის განათლების მინისტრმა მოითხოვა სკოლის სახელმძღვანელოებსა და სხვა ისტორიულ ლიტერატურაში ოსმალური პერიოდის ინტერპრეტაციის გადახედვა, რათა იმპერია ნაკლებად ნეგატიურად იყოს ასახული... თურქეთის მოთხოვნით, კოსოვოს განათლების სფეროს თანამშრომლები ცვლიდნენ ისტორიულ სახელმძღვანელოებს ოსმალეთის იმპერიის აღწერის შესარბილებლად“. ⁴⁰

მაკედონიაში ეთნიკურ ალბანელთა ახალ პოლიტიკურ პარტია „ბესას“, არსებული ინფორმაციის მიხედვით, მხარს უჭერს ანკარა. ⁴¹ ამავე დროს, თურქეთი ცდილობს ურთიერთობა დაამყაროს არა მხოლოდ მაკედონიის ალბანელებთან, არამედ მთლიანად ამ ქვეყანასთან. „წლების მანძილზე თურქეთმა მიაწოდა მაკედონიას დიდი რაოდენობის სამხედრო აღჭურვილობა და გამართა მრავალი ტრენინგი და კურსი ოფიცრებისა და სერჟანტებისთვის“. ⁴² თურქეთმა „მოიპოვა მნიშვნელოვანი კეთილგანწყობა მაკედონიაში, როგორც პოლიტიკურ ლიდერებში, ისე მოსახლეობაში, ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის ადრეული და მუდმივი მხარდაჭერისთვის, და მისი კონსტიტუციით განსაზღვრული სახელწოდების აღიარების-თვის“. ⁴³

აღბანეთში თურქეთის გავლენა შედარებით სუსტია, იმის მიუხედავად, რომ ისიც შედის ანკარის ინტერესთა სფეროში. ორ ქვეყანას შორის არის გარკვეული სამხედრო თანამშრომლობა, ხოლო თურქულ სამხედრო ხომალდებს აქვთ აღბანეთის დურესის პორტის გამოყენების უფლება. ამავე დროს, თურქეთის რბილი ძალა აღბანეთში, როგორც ჩანს, უფრო სუსტია, ვიდრე ბოსნიაში ან, თუნდაც, აღბანელებით დასახლებულ კოსოვოში. როდესაც აღბანეთში დაიწყო ლაპარაკი, რომ თურქეთს სურდა ამ ქვეყნის სახელმძღვანელოებში იმავე ტიპის ცვლილებები შესულიყო, როგორც კოსოვოში, აღბანური საზოგადოების ნაწილი ამას აღშფოთებით შეხვდა.⁴⁴

თურქეთი ურთიერთობებს ამყარებს ასევე პროთურქულ უმცირესობებთან – ეთნიკურ თურქებთან ბულგარეთში⁴⁵ და ბოსნიელებთან სანჯაკის⁴⁶ ისტორიულ პროვინციაში (რომელიც დღეს სერბეთსა და მონტენეგროში მდებარეობს).

დერეფანი კავკასიაში

სამხრეთი კავკასია თურქეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია სატრანზიტო დერეფნის გამო, რომელიც გადის საქართველოსა და აზერბაიჯანზე და რომელსაც აქვს პოტენციური გახდეს ევროპისა და აზიის მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლი. უკვე მოქმედი და დაგეგმილი მილსადენები და რკინიგზა ამ რეგიონიდან თურქეთში გადადის, რის შედეგადაც ეს უკანასკნელიც წარმოადგენს ამ დერეფნის ნაწილს. სატრანზიტო დერეფნის წარმატებული განვითარება გაზრდიდა თურქეთის სიმდიდრეს და სტრატეგიულ წონას.

ევროპისა და აზიის დაკავშირების პერსპექტივის გარდა, სამხრეთ კავკასიის დერეფანი თურქეთსა და ცენტრალურ აზიასაც აკავშირებს. თურქეთს აქვს ამბიციური გავლენა ჰქონდეს ცენტრალურ აზიაში, თუმცა მისი კონკურენტი სახელმწიფოების, რუსეთის და ირანის, გეოგრაფიული მდებარეობა მხოლოდ ერთ „თავისუფალ“ გზას ტოვებს თურქეთსა და ცენტრალურ აზიას შორის – საქართველოს, აზერბაიჯანისა და კასპიის ზღვის გავლით.

თურქეთს აქვს მეგობრული ურთიერთობები საქართველოსთან, ხოლო მისმა პარტნიორობამ აზერბაიჯანთან სამხედრო აღიანსის დონესაც მიაღწია. შეთანხმება სტრატეგიული პარტნიორობის და ორმხრივი მხარდაჭერის შესახებ, რომელიც ამ ორმა ქვეყანამ

2010 წლის აგვისტოში გააფორმა, თურქეთს და აზერბაიჯანს ავალ-დებულებს მათგან რომელიმეს წინააღმდეგ სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში ერთმანეთს მხარი დაუჭირონ „ყველა შესაძლებლობის გამოყენებით“.⁴⁷

ანკარა თანმიმდევრულად უჭერს მხარს აზერბაიჯანს ყარაბაღის კონფლიქტში. გარდა დიპლომატიური მხარდაჭერისა, ანკარას გაცემული აქვს ფაქტობრივი უსაფრთხოების გარანტიები⁴⁸ აზერბაიჯანის მონყვლადი ნახიჩევანის რეგიონისთვის, რომელიც ქვეყნის ძირითადი ნაწილისგან განცალკევებულია სომხეთის ტერიტორიით.

* * *

თურქეთის ახალი ენერგიული საგარეო პოლიტიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამეზობლოთი. ჩვენი ნაშრომის ფარგლებს გარეთ რჩება თურქეთის ინტერესები ცენტრალურ აზიაში, პოლიტიკური რიტორიკა ჩინეთის სინძიანის რეგიონში მცხოვრები უიღურების მხარდასაჭერად, ურთიერთობა ავღანეთთან და პაკისტანთან, კავშირების განვითარება აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან და თანამედროვე მსოფლიოში თურქეთის მხრიდან საკუთარი ინტერესების გატარების ძალისხმევის სხვა გამოვლინებები.

როგორ უნდა გავიგოთ თურქეთის სტრატეგია

დიდი სახელმწიფოს (great power) საკვანძო მახასიათებელი არის მისი ძალისხმევა ჩამოაყალიბოს საკუთარი რეალობა, გარკვეული სახის წესრიგი, რომლის ცენტრშიც თავად ეს სახელმწიფოა. გეოგრაფიულად ამგვარი წესრიგი შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ ერთ რეგიონს, როგორც იყო, მაგალითად, ავსტრია-უნგრეთის შემთხვევაში, ან მთელ მსოფლიოს, როგორც იყო ბრიტანეთის იმპერიის და დღესაც არის ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში. თუმცა გეოგრაფიული მასშტაბის მიუხედავად, ამგვარი სახელმწიფოს ქცევის განმსაზღვრელ კომპონენტს წარმოადგენს ძალისხმევა, რომ მსოფლიოს რომელიღაც ნაწილის ორგანიზება ისე მოახდინოს, როგორც თავად მიიჩნევს საჭიროდ.

იმისთვის, რომ კარგად გავიგოთ თურქეთის საგარეო პოლიტიკა, უნდა გავიაზროთ კარდინალური განსხვავება თანამედროვე საქართველოს და თანამედროვე თურქეთის მსოფლმხედველობებს

შორის: საქართველოს სურს იყოს იმ რეალობის ნაწილი, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპულმა სახელმწიფოებმა შექმნეს მეორე მსოფლიო ომში და ცივ ომში გამარჯვების შემდეგ. სწორედ ეს არის ნამდვილი არსი იმისა, რასაც ჩვენ ოფიციალურად ვუნოდებთ „საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას“. ქართველებს ეს გვინდა იმიტომ, რომ ამ სისტემაში სრული განეწიანება მიგვაჩნია ჩვენი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის საუკეთესო გზად.

იყო დრო, როდესაც თურქეთსაც აკმაყოფილებდა მხოლოდ ამ რეალობის ნაწილად ყოფნა. დღეს ამგვარი ვითარება უკვე წარსულია და ნაკლებად სავარაუდოა ახლო მომავალში აღდგეს. თანამედროვე თურქეთს არ სურს იყოს უბრალოდ სხვისი რეალობის ნაწილი. ამის ნაცვლად მას უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი რეალობა, რომლის ბირთვიც თავად იქნება – ისლამური ან, უფრო ზუსტად, სუნიტური სამყაროს ბირთვი, თურქულენოვანი სამყაროსი, იმ ტერიტორიების, სადაც შენარჩუნებულია ოსმალური მემკვიდრეობა, „მუსლიმთა საძმოსთან“ დაკავშირებული საერთაშორისო იდეოლოგიური ქსელის. მიმართულებები და ნარატივები განსხვავდება, მაგრამ ყოველი მათგანის მიხედვით თურქეთი არის ცენტრი რაღაც უფრო ფართოსი, ვიდრე მსოფლიოს რუკაზე ნაჩვენები მისი სახელმწიფო საზღვრებია.

თურქეთის ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობები უფრო მცირეა, ვიდრე ყველაზე მსხვილი თანამედროვე სახელმწიფოებისა. მაგრამ თურქული საგარეო ამბიციები რეალურია, ფაქტები კი მიუთითებს, რომ თურქეთის ეროვნული რესურსი იმისთვის მაინც არის საკმარისი, რომ მან გააგრძელოს ამ ამბიციების რეალიზებაზე მიმართული მუდმივი ძალისხმევა.

შესაძლოა, თურქეთმა ამ ძალისხმევით წარმატებას ვერ მიაღწიოს, მაგრამ ის ამას ცდილობს და ეს მცდელობა გაგრძელდება, თუკი თურქეთში ძალიან მძიმე შიდაპოლიტიკური კატაკლიზმი არ მოხდა. თურქეთი უახლოესი ათწლეულების მანძილზე იქნება საკვანძო გეოსტრატეგიული მოთამაშე პლანეტის რამდენიმე რეგიონში, მათ შორის – სამხრეთ კავკასიაში. უმჯობესი იქნება, თუ ყველა დაინტერესებული მხარე თურქეთს შეხედავს ისე, როგორც ის თავად უყურებს საკუთარ თავს – დამოუკიდებელი მიზნების მქონე სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ძლიერად გამოხატული და თანმიმდევრული გეოსტრატეგიული ხედვა და მატერიალური შესაძლებლობები ამ ხედვის მიხედვით იმოქმედოს.

შენიშვნები

1. ამ დისკურსის მაგალითისათვის იხ.: Barry Rubin and Kemal Kirisci (eds.), *Turkey in World Politics: An Emerging Multiregional Power*, 2001
2. Tulin Daloglu, “Davutoglu Invokes Ottomanism as New Mideast Order,” *Al-Monitor*, 10 March 2013, www.al-monitor.com/pulse/originals/2013/03/turkey-davutologu-ottoman-new-order-mideast.html (ნანახია 14 მაისს, 2017)
3. Alida Vračić, *Turkey’s Role in the Western Balkans* (SWP Research Paper), Stiftung Wissenschaft und Politik (SWP), German Institute for International and Security Affairs, Berlin, December 2016, გვ. 11, www.swp-berlin.org/fileadmin/contents/products/research_papers/2016RP11_vcc.pdf (ნანახია 15 მაისს, 2017)
4. Ayla Albayrak, “Turkey’s Erdogan Makes Victory Speech: The Breakdown,” *Wall Street Journal*, 11 August 2014, www.blogs.wsj.com/middleeast/2014/08/11/turkeys-erdogan-makes-victory-speech-the-breakdown/ (ნანახია 15 მაისს, 2017)
5. “Turkey Agrees to Plans for Arab ‘Free Trade Zone,’” *BBC*, 10 June 2010, www.bbc.com/news/10290025 (ნანახია 14 მაისს, 2017)
6. უფრო დეტალურად იხ.: Can Kasapoglu and Soner Cagaptay, *Turkey’s Military Presence in Iraq: A Complex Strategic Deterrent*, Washington Institute for Near East Policy, 22 December 2015, www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/turkeys-military-presence-in-iraq-a-complex-strategic-deterrent (ნანახია: 17 მაისი 2017)
7. Stephen Kalin, “Dispute over Turkish Troops Throws Future of Mosul into Question,” *Reuters*, 7 January 2016, www.reuters.com/article/us-mideast-crisis-iraq-turkey-idUSKBN0UL1DF20160107 (ნანახია 16 მაისს, 2017); Can Kasapoglu and Soner Cagaptay, *Turkey’s Military Presence in Iraq: A Complex Strategic Deterrent*, Washington Institute for Near East Policy, 22 December 2015, www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/turkeys-military-presence-in-iraq-a-complex-strategic-deterrent (ნანახია 17 მაისს, 2017)
8. Wilson Fache, “What is the Turkish Army Really Doing in Iraq?,” *Al-Monitor*, 6 September 2016, www.al-monitor.com/pulse/originals/2016/09/turkey-iraq-what-turkish-army-doing-in-mosul.html (ნანახია 17 მაისს, 2017)
9. “Turkish Military to Have a Base in Iraq’s Mosul,” *Hurriyet Daily News*, 5 December 2015, www.hurriyetdailynews.com/turkish-military-to-have-a-base-in-iraqs-mosul.aspx?pageID=238&nID=92113&NewsCatID=352 (ნანახია 15 მაისს, 2017); Wilson Fache, “What is the Turkish Army Really Doing in Iraq?,” *Al-Monitor*, 6 September 2016, www.al-monitor.com/pulse/originals/2016/09/turkey-iraq-what-turkish-army-doing-in-mosul.html (ნანახია 17 მაისს, 2017)
10. Maher Chmaytelli and Tuvan Gumrukcu, “Baghdad Bridles at Turkey’s Military Presence, Warns of ‘Regional War,’” *Reuters*, 5 October 2016, www.reuters.com/article/us-mideast-crisis-iraq-turkey-idUSKCN1250H9 (ნანახია 17 მაისს, 2017)
11. Birce Bora, “Analysis: What is Turkey Trying to Achieve in Iraq?,” *Al Jazeera*, 13 October 2016, www.aljazeera.com/news/2016/10/analysis-turkey-achieve-iraq-161013032856045.html (ნანახია 17 მაისს, 2017)

12. "Ankara Joins Air Raids on Mosul as Iraqis Protest Turkish Role," *Middle East Eye*, 18 October 2016, www.middleeasteye.net/news/ankara-joins-air-operation-take-mosul-iraqis-protest-against-turkish-role-1106417056 (ნანახის 18 მარტი, 2017)
13. Saverio Leopardi, *Decrypting Erdogan's Palestine Policy*, Centre for Policy and Research on Turkey (Research Turkey), 7 December 2016, www.researchturkey.org/decrypting-erdogans-palestine-policy/ (ნანახის 20 მარტი, 2017)
14. Fadi Shafei, "Turkish Products Break Egyptian Monopoly over Gazan Markets," *Al-Monitor*, 1 February 2016, www.al-monitor.com/pulse/originals/2016/02/gaza-markets-turkey-imports-break-israel-siege.html (ნანახის 20 მარტი, 2017)
15. Saverio Leopardi, *Decrypting Erdogan's Palestine Policy*, Centre for Policy and Research on Turkey (Research Turkey), 7 December 2016, www.researchturkey.org/decrypting-erdogans-palestine-policy/ (ნანახის 20 მარტი, 2017)
16. Adnan Abu Amer, "Some Gazans Fear Turkish Generosity May Come at High Price," *Al-Monitor*, 7 April 2016, www.al-monitor.com/pulse/originals/2016/04/turkey-projects-influence-gaza-interests-jobs.html (ნანახის 20 მარტი, 2017)
17. Adnan Abu Amer, "Jordan, Turkey Compete to Woo Jerusalem," *Al-Monitor*, 19 May 2016, www.al-monitor.com/pulse/fa/contents/articles/originals/2016/05/turkey-jordan-palestine-jerusalem-competition-influence.html (ნანახის 20 მარტი, 2017)
18. Joe Hammoura, *Turkish Foreign Policy Under the AKP Rule: The Limited Role of Turkey in Lebanon*, Middle East Institute for Research and Strategic Studies (MEIRSS), 10 April 2017, www.meirss.org/turkish-foreign-policy-under-the-akp-rule-the-limited-role-of-turkey-in-lebanon/ (ნანახის 18 მარტი, 2017)
19. James E. Baldwin, "The Egyptian Coup Is a Warning to Turkey – But will Erdogan Listen?," *The Guardian*, 16 July 2013, www.theguardian.com/commentisfree/2013/jul/16/egyptian-coup-warning-will-erdogan-listen (ნანახის 19 მარტი, 2017)
20. Feyza Gumusluoglu, *Why Qatar is Hosting a Turkish Military Base*, Arab Gulf States Institute in Washington (AGSIW), 15 April 2016, www.agsiw.org/why-qatar-is-hosting-a-turkish-military-base/ (ნანახის 22 მარტი, 2017)
21. Michael Kaplan, "With Turkey-Israel Reconciliation Looming, Egypt Fears Turkish Influence in Gaza Strip," *International Business Times*, 1 September 2016, www.ib-times.com/turkey-israel-reconciliation-looming-egypt-fears-turkish-influence-gaza-strip-2257299 (ნანახის 19 მარტი, 2017)
22. Aaron Stein, "Turkey's Proxy War in Libya," *War on the Rocks*, 15 January 2015, warontherocks.com/2015/01/turkeys-proxy-war-in-libya/ (ნანახის 21 მარტი, 2017)
23. James E. Baldwin, "The Egyptian Coup Is a Warning to Turkey – But will Erdogan Listen?," *The Guardian*, 16 July 2013, www.theguardian.com/commentisfree/2013/jul/16/egyptian-coup-warning-will-erdogan-listen (ნანახის 19 მარტი, 2017)
24. Feyza Gumusluoglu, *Why Qatar is Hosting a Turkish Military Base*, Arab Gulf States Institute in Washington (AGSIW), 15 April 2016, www.agsiw.org/why-qatar-is-hosting-a-turkish-military-base/ (ნანახის 22 მარტი, 2017)
25. Metin Gurcan, "Why Qatar and Turkey are Becoming an Item," *Al-Monitor*, 13 March 2017, www.al-monitor.com/pulse/originals/2017/03/turkey-qatar-diversifying-its-interests-risks.html (ნანახის 22 მარტი, 2017)

26. "Seeing Shared Threats, Turkey Sets up Military Base in Qatar," *Reuters*, 28 April 2016, www.reuters.com/article/us-qatar-turkey-military-idUSKCN0XP2IT (ნანახია 22 მაისს, 2017)
27. Turan Yilmaz, "Turkey, Qatar Agree on Details of Headquarters in Qatar," *Hurriyet Daily News*, 8 May 2017 www.hurriyetdailynews.com/turkey-qatar-agree-on-details-of-headquarters-in-qatar-.aspx?pageID=238&nID=112833&NewsCatID=352 (ნანახია 22 მაისს, 2017)
28. "Turkey Set to Build a Military Training Center in Somalia," *Today's Zaman*, 5 January 2016, ხელმისაწვდომია: *AMISOM Daily Media Monitoring*, 6 January 2016, www.somaliamediamonitoring.org/january-6-2016-morning-headlines/ (ნანახია 22 მაისს, 2017)
29. "Turkey Sets up First African Military Base in Somalia," *Daily Sabah*, 30 September 2016, www.dailysabah.com/war-on-terror/2016/09/30/turkey-sets-up-first-african-military-base-in-somalia, (ნანახია 22 მაისს, 2017)
30. Alida Vračić, *Turkey's Role in the Western Balkans* (SWP Research Paper), Stiftung Wissenschaft und Politik (SWP), German Institute for International and Security Affairs, Berlin, December 2016, გვ. 5-6, www.swp-berlin.org/fileadmin/contents/products/research_papers/2016RP11_vcc.pdf (ნანახია 15 მაისს, 2017)
31. Alida Vračić, *Turkey's Role in the Western Balkans* (SWP Research Paper), Stiftung Wissenschaft und Politik (SWP), German Institute for International and Security Affairs, Berlin, December 2016, გვ. 6, www.swp-berlin.org/fileadmin/contents/products/research_papers/2016RP11_vcc.pdf (ნანახია 15 მაისს, 2017)
32. Yigal Schleifer, "Turkey's Balkan Express Rolls On," *EurasiaNet*, 14 March 2011, www.eurasianet.org/node/63065 (ნანახია 16 მაისს, 2017)
33. Francisco de Borja Lasheras with Vessela Tcherneva and Fredrik Wesslau, *Return to Instability: How Migration and Great Power Politics Threaten the Western Balkans*, European Council on Foreign Relations, March 2016, გვ. 10, www.ecfr.eu/page/-/ECFR_163_RETURN_TO_INSTABILITY.pdf (ნანახია 15 მაისს, 2017)
34. Francisco de Borja Lasheras with Vessela Tcherneva and Fredrik Wesslau, *Return to Instability: How Migration and Great Power Politics Threaten the Western Balkans*, European Council on Foreign Relations, March 2016, გვ. 10, www.ecfr.eu/page/-/ECFR_163_RETURN_TO_INSTABILITY.pdf (ნანახია 15 მაისს, 2017)
35. Sefa Mutlu, "Turkish Students Start Learning Bosnian," *Anadolu Agency*, 17 January 2017, www.aa.com.tr/en/europe/turkish-students-start-learning-bosnian-/729192 (ნანახია 17 მაისს, 2017)
36. Sofia Lopez Piqueres, *Turkey in Bosnia and Herzegovina: By Fits and Starts. Soft Power and Public Diplomacy Alla Turca*, College of Europe, January 2014, გვ. 48, www.coleurope.eu/sites/default/files/research-paper/bm_lopez.pdf (ნანახია 17 მაისს, 2017)
37. Alida Vračić, *Turkey's Role in the Western Balkans* (SWP Research Paper), Stiftung Wissenschaft und Politik (SWP), German Institute for International and Security Affairs, Berlin, December 2016, გვ. 30-31, www.swp-berlin.org/fileadmin/contents/products/research_papers/2016RP11_vcc.pdf (ნანახია 15 მაისს, 2017)
38. Yavuz Baydar, "Erdogan: 'Kosovo Is Turkey,'" *Al-Monitor*, 28 October 2013, www.al-monitor.com/pulse/originals/2013/10/erdogan-kosovo-turkey.html (ნანახია 16 მაისს, 2017)

39. Francisco de Borja Lasheras with Vessela Tcherneva and Fredrik Wesslau, *Return to Instability: How Migration and Great Power Politics Threaten the Western Balkans*, European Council on Foreign Relations, March 2016, გვ. 10, www.ecfr.eu/page/-/ECFR_163_RETURN_TO_INSTABILITY.pdf (ნანახის 15 მარტს, 2017)
40. Alida Vračić, *Turkey's Role in the Western Balkans* (SWP Research Paper), Stiftung Wissenschaft und Politik (SWP), German Institute for International and Security Affairs, Berlin, December 2016, გვ. 23, www.swp-berlin.org/fileadmin/contents/products/research_papers/2016RP11_vcc.pdf (ნანახის 15 მარტს, 2017)
41. Francisco de Borja Lasheras with Vessela Tcherneva and Fredrik Wesslau, *Return to Instability: How Migration and Great Power Politics Threaten the Western Balkans*, European Council on Foreign Relations, March 2016, გვ. 10, www.ecfr.eu/page/-/ECFR_163_RETURN_TO_INSTABILITY.pdf (ნანახის 15 მარტს, 2017)
42. Alida Vračić, *Turkey's Role in the Western Balkans* (SWP Research Paper), Stiftung Wissenschaft und Politik (SWP), German Institute for International and Security Affairs, Berlin, December 2016, გვ. 25, www.swp-berlin.org/fileadmin/contents/products/research_papers/2016RP11_vcc.pdf (ნანახის 15 მარტს, 2017)
43. Alida Vračić, *Turkey's Role in the Western Balkans* (SWP Research Paper), Stiftung Wissenschaft und Politik (SWP), German Institute for International and Security Affairs, Berlin, December 2016, გვ. 26, www.swp-berlin.org/fileadmin/contents/products/research_papers/2016RP11_vcc.pdf (ნანახის 15 მარტს, 2017)
44. Alida Vračić, *Turkey's Role in the Western Balkans* (SWP Research Paper), Stiftung Wissenschaft und Politik (SWP), German Institute for International and Security Affairs, Berlin, December 2016, გვ. 23, www.swp-berlin.org/fileadmin/contents/products/research_papers/2016RP11_vcc.pdf (ნანახის 15 მარტს, 2017)
45. Boris Rangelov, "Bulgaria's Election Test," *EUobserver*, 24 March 2017, www.euobserver.com/beyond-brussels/137371 (ნანახის: 19 მარტი 2017); "Police Remove Barricades at Turkish-Bulgarian Border," *Deutsche Welle*, 24 March 2017, www.dw.com/en/police-remove-barricades-at-turkish-bulgarian-border/a-38112602 (ნანახის 19 მარტს, 2017); Tsvetelia Tzolova, "Bulgaria's PM Says Taking Steps to Prevent Election Meddling by Turkey," *Reuters*, 17 March 2017 www.reuters.com/article/us-bulgaria-election-turkey-idUSKBN16O1Q1 (ნანახის 19 მარტს, 2017); "Erdogan Says Bulgaria's Pressure on Turks 'Unacceptable'," *Reuters*, 23 March 2017, www.reuters.com/article/us-turkey-bulgaria-election-idUSKBN16U1Q1 (ნანახის 19 მარტს, 2017)
46. Sanja Kljajic, "Sandzak: The Balkan Region Where Turkey is the Big Brother," *Deutsche Welle*, 21 October 2016, www.dw.com/en/sandzak-the-balkans-region-where-turkey-is-the-big-brother/a-36115582 (ნანახის 18 მარტს, 2017)
47. Shahin Abbasov, "Azerbaijan-Turkey Military Pact Signals Impatience with Minsk Talks – Analysts," *EurasiaNet*, 18 January 2011, www.eurasianet.org/node/62732 (ნანახის 24 მარტს, 2017)
48. Shahin Abbasov, "Turkey Steps up Support for Strategic Azerbaijani Exclave of Nakhchivan," *EurasiaNet*, 26 July 2010 www.eurasianet.org/node/61610 (ნანახის 24 მარტს, 2017)